RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სამი ზღვის ინიციატივა და საქართველო: პერსპექტივები და გამოწვევები

გრიგოლ ჯულუხიძე

156

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გრიგოლ ჯულუხიძე

სამი ზღვის ინიციატივა და საქართველო: პერსპექტივები და გამოწვევები

156

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

რას ნიშნავს სამი ზღვის ინიციატივა?

სამი ზღვის ინიციატივა (3SI) მიზნად ისახავს ცენტრალური ევროპის რეგიონში თანამშრომლობის გაღრმავებას (ბალტიის, ადრიატიკისა და შავ ზღვებს შორის), რაც ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ციფრული კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებებით ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს ქმნის.

სამი ზღვის ინიციატივა ჩამოყალიბდა, როგორც 12 ქვეყნის თანამშრომლობის ფორუმი (წევრები: ავსტრია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი). ტერიტორია, რომელსაც სამი ზღვის ინიციატივა მოიცავს, ევროკავშირის მთლიანი ფართობის თითქმის მესამედს წარმოადგენს, სადაც 112 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. რეგიონი გამორჩეულია სტაბილური ეკონომიკური ზრდითა და უმუშევრობის დაბალი დონით.

3SI-ის პრიორიტეტია ცენტრალურ ევროპაში თანმიმდევრული და ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ისტორიული მოვლენების შედეგად წარმოქმნილ ჩამორჩენას ეტაპობრივად აღმოფხვრის. ამის შედეგად, საერთო ევროპული ბაზრის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური უთანასწორობა შემცირდება, ხოლო ევროკავშირის მოძველებული აღქმა გაერთიანების „ნაკლებად“ და „მეტად“ განვითარებულ სივრცეებად – შეიცვლება. ინიციატივის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი და დამატებითი ღირებულება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე არსებული მხარდაჭერაა. 3SI პროევროპული გაერთიანებაა და არსებული რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებს ამყარებს (Ministerstwo Spraw Zagranicznych, 2020).

ინიციატივის პირველი შეხვედრა 2015 წლის 29 სექტემბერს გაიმართა ნიუ-იორკში, ხოლო პირველი ოფიციალური სამიტი – 2016 წლის 25 აგვისტოს დუბროვნიკში. მონაწილეებმა შეიმუშავეს ერთობლივი დეკლარაცია და შეთანხმდნენ, რომ ადრიატიკის, ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირი + ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა უნდა გაღრმავებულიყო, მაგრამ არსებული თანამშრომლობის მექანიზმების პარალელური სტრუქტურების შექმნის გარეშე. ქვეყნებმა მოიწონეს სამი ზღვის ინიციატივა, როგორც „არაფორმალური პლატფორმა“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ციფ-

რული კომუნიკაციებისა და ეკონომიკის სექტორებში მდგრადი პროექტების მხარდასაჭერად.

სამი ზღვის ინიციატივის მეორე სამიტი გაიმართა 2017 წლის 6-7 ივლისს ვარშავაში. სამიტის მასპინძლები იყვნენ პოლონეთისა და ხორვატიის პრეზიდენტები. ღონისძიებას აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც ესწრებოდა, როგორც სპეციალური სტუმარი. სამიტის თანმხლები ღონისძიება იყო გლობალური ფორუმი – მთავრობების, ბიზნესის, მედიის წარმომადგენლებისა და ტრანსატლანტიკურ საქმეთა წამყვანი ექსპერტების შეხვედრა ევროპა-ამერიკის ურთიერთობების საკითხზე.

მესამე სამიტი 2018 წლის 17-18 სექტემბერს ბუქარესტში გაიმართა. შეკრების მონაწილეებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ინიციატივით გათვალისწინებული ბიზნეს და ეკონომიკური თანამშრომლობა უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო. დადგენილების კონკრეტული გამოხატულება იყო ე.წ. ეკონომიკური პალატების ქსელის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა, სამი ზღვის ფონდის შექმნის გადაწყვეტილება და პრიორიტეტული პროექტების კატალოგის მიღება. 12 ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენელთა გარდა, ბუქარესტის სამიტს რიკ პერი, ჰეიკო მაასი, ჟან-კლოდ იუნკერი და კორინა კრეცუ ესწრებოდნენ.

მეოთხე სამიტი 2019 წლის 5-6 ივნისს გაიმართა სლოვენიის დედაქალაქში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროკომისიის პრეზიდენტები, ხოლო აშშ-დან – სახელმწიფო მდივანი ენერგეტიკის საკითხებში. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ მაღალი რანგის პოლიტიკოსები დიდი ბრიტანეთიდან, ბალკანეთის ქვეყნებიდან და აღმოსავლეთის პარტნიორობიდან. სამიტის დროს მიიღეს დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს სამი ზღვის ინიციატივის საინვესტიციო ფონდის ოფიციალურ რეგისტრაციას და აფიქსირებს, რომ პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხეთი მზად არიან აქტიური კონტრიბუციისათვის.

სამი ზღვის ინიციატივის მეხუთე სამიტი გაიმართა 2020 წლის 19-20 ოქტომბერს ტალინში, სადაც პარტნიორობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება განისაზღვრა – საქართველო (სხვებთან ერთად) – ერთადერთი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, ევროატლანტიკური ინტეგრაციის სურვილითა და პროდასავლური მისწრაფებებით. ასევე აღსანიშნავია ფაქტი, რომ თბილისი ვარშავის უახლოესი მოკავშირეა რეგიონში (როგორც ვიცით, პოლო-

ნეთი ამავდროულად 3SI-ის მთავარი მხარდამჭერი/სპონსორი და აღმოსავლეთ პარტნიორობის თანაარქიტექტორია), რაც კიდევ უფრო ზრდის პროექტის ორმხრივ მიზიდულობას. თუმცა, სანამ ამ მრავალეროვან ფორმატში საქართველოს პოტენციურ როლზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, საჭიროა სამი ზღვის ინიციატივის ეკონომიკურ-ენერგეტიკული პერსპექტივები განვიხილოთ.

3SI ეკონომიკურ-ენერგეტიკული პრიზმიდან

ბოლო 15 წლის მანძილზე სამი ზღვის ქვეყნები ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი აქტორები იყვნენ. 2004-2018 წლებში მათი წილი ევროკავშირის მშპ-ის წარმოებაში 4-იდან 19 პროცენტამდე გაიზარდა. ამ მხრივ ლიდერები იყვნენ: პოლონეთი (5,3%), სლოვაკეთი (4,8%) და რუმინეთი (4,7%). რეგიონის ყველა ქვეყანა (ხორვატიის გარდა) ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე მინიმუმ სამჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა.

სამი ზღვის წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ცენტრს წარმოადგენენ, განსაკუთრებით – საავტომობილო სფეროსთვის. სამრეწველო წარმოების დამატებითი ღირებულების საშუალო წილი მშპ-სთან მიმართებაში 16.7%-ია, ხოლო ევროკავშირის სხვა ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებელი 13%-ს უტოლდება, რაც თითქმის ერთი მეოთხედით ნაკლებია. ათწლეულების განმავლობაში რეგიონის ინფრასტრუქტურული ინვესტიციები სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნების დასავლეთ ევროპის სამრეწველო ცენტრებთან კავშირების გაღრმავება-განვითარებაზე იყო ფოკუსირებული, ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძი კი უგულებელყოფილი. ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს დღემდე სერიოზული გამოწვევები აქვს ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ენერგეტიკისა და ციფრული ინფრასტრუქტურის კუთხით. ამ თვალსაზრისით, დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებულ ეკონომიკებთან გათანაბრება სამი ზღვის ინიციატივის საბაზისო პირობაა, რაც ამავდროულად რეგიონალური კავშირების ქსელის შექმნასაც გულისხმობს (Popławski and Jakóbowski, 4-5, 2020).

სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნების თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ენერგეტიკის სფერო. უმთავრესი მიზანი ენერგოდამოუკიდებლობაა, რომლის მისაღწევადაც არსებობს რამდენიმე მიმდინარე და სამომავლო პროექტი.

ამ ეტაპზე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონის ქვეყნების გაზმომარაგებაში მთავარ როლს რუსეთის ფედერაცია ასრულებს. ინიციატორ ქვეყნებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ბუნებრივი აირის ძირითად მიმწოდებლად რუსეთის ყოფნა რეგიონის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მოსკოვისთვის ენერგეტიკული ბერკეტი პოლიტიკური მანიპულაციისა და ზეწოლის მექანიზმია, რაც სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნებს ენერგოწყაროს დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს. ალტერნატიული გაზმომარაგების მექანიზმად LNG სისტემა მოიაზრება. ამის შედეგად, უნდა მოხდეს პოლონეთისა და ხორვატიის LNG ტერმინალების დაკავშირება, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის შექმნა და ინტერკონექტორების მეშვეობით დანარჩენი წევრი სახელმწიფოების ბუნებრივი აირით სტაბილური მომარაგება. ამ მხრივ, ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ტერმინალი **Świnoujście** (პოლონეთი) სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს, რომელმაც 2018 წელს უკვე მიიღო პირველი ტანკერი და ენერგეტიკული დერეფნით ადრიატიკის ზღვაში მდებარე LNG Krk-ის ტერმინალს დაუკავშირდა (ომიშალი, ხორვატია) (ფიფია, 6-7, 2019).

გარდა ამისა, არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების რამდენიმე მონახაზი. მაგალითად, „ბალტიური ენერგობაზრის ურთიერთდაკავშირების გეგმა“ – ინიციატივა ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპას შორის ინტეგრირებულ ელექტრო და გაზმომარაგების სისტემის შექმნასა და ენერგოიზოლაციის საბოლოოდ აღმოფხვრას ითვალისწინებს. პარტნიორი სახელმწიფოების არიან: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, გერმანია, დანია, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი (European Commission, 2020).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული პროექტები ხორციელდება ევროკომისიის პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირისთვის სამი ზღვის ინიციატივის დიდ მნიშვნელობას.

აშშ-ის მხარდაჭერა სამი ზღვის ინიციატივას და Nord Stream 2-ს

2020 წლის თებერვალში ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ენერგეტიკულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველ-

საყოფად შეერთებული შტატები სამი ზღვის ინიციატივას 1 მილიარდ დოლარს გამოუყოფდა.

18 თვის წინ წარდგენილ ამ კანონპროექტს 42 ავტორი ჰყავდა. მთავარი მხარდამჭერი მარსი კაპტური იყო – დემოკრატი ოჰაიოდან, რომელიც წლების განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საქმეებს კურირებდა. დოკუმენტი მხარს უჭერს სამი ზღვის ინიციატივის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და ინფრასტრუქტურულ განვითარებას, რაც შეერთებული შტატებისა და ევროპის უსაფრთხოებას შესამჩნევად გაზრდის (News Today, 2020).

კონგრესმენებმა ხაზი გაუსვეს აშშ-ის მთავრობის ვალდებულებას, რომ აღნიშნული რეზოლუციის ფარგლებში ერთი მილიარდი დოლარი გამოყონ სამი ზღვის ფონდისთვის. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ფაქტზეც, რომ „საბჭოთა კავშირმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძის გასწვრივ, სერიოზული ინფრასტრუქტურული დეფიციტი დატოვეს, განსაკუთრებით, სატრანსპორტო გზებისა და ელექტროგადამცემი ხაზების კუთხით“.

ამავე დროს, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება „იწვევს რეგიონის ქვეყნების რუსეთსა და კრემლზე გადამეტებულ დამოკიდებულებას და ევროპაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფლების შესუსტებას ჰიბრიდული საშუალებებით“.

მიღებულ რეზოლუციაში კონგრესმენებმა მხარი დაუჭირეს „განუყოფელი, უსაფრთხო, მდიდარი და თავისუფალი ევროპის მშენებლობას“. მათ ასევე მოუწოდეს სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნებს, მიიღონ ზომები ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და ციფრული კავშირების სფეროში ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად. კონგრესმენებმა სამი ზღვის ქვეყნებს მოუწოდეს „განავითარონ რეგიონალური ინფრასტრუქტურული თანამშრომლობის ხედვა ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაშიც“ (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო და დასავლეთი ბალკანეთი).

„მე, როგორც ევროპის ენერგეტიკული ბაზრების დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების მტკიცე მხარდამჭერი, ვამაყობ, რომ დღეს მხარს ვუჭერთ რეზოლუციას სამი ზღვის ინიციატივის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს იმედი აქვს, რომ ჩვენი ევროპელი მოკავშირეები Nord Stream 2 გაზსადენის მძევლები

გახდებიან, 3SI ცდილობს დაუპირისპირდეს მათ მავნე ზეგავლენას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მათი რეგიონალური ურთიერთკავშირის განმტკიცებას ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორების ენერგეტიკული ბაზრების უზრუნველსაყოფად", – აღნიშნა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა (Three Seas, 2020).

3SI პერსპექტივები საქართველოსთვის

3SI ლიდერების განცხადებებში ნათლად იკვეთება, რომ ეს რეგიონალური პლატფორმა არ წარმოადგენს ევროკავშირის/ნატოს წევრთა ექსკლუზიურ კლუბს, პირიქით – როგორც 19 ოქტომბერს, ტალინის სამი ზღვის ვირტუალური სამიტის დროს, პოლონეთის პრეზიდენტმა ანდჟეი დუდამ ხაზგასმით აღნიშნა, 3SI უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებს უქმნის და ამავდროულად, ხელს შეუწყობს ასპირანტი ქვეყნების ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს.

„3SI-ის სხვადასხვა აქტორების ერთმანეთთან კავშირი სტაბილურობისა და დემოკრატიის შენარჩუნებას იმ ქვეყნებში შეუწყობს ხელს, რომლებსაც დასავლეთ ევროპა „პერიფერიულს" უწოდებს. ეს კავშირი ინსტიტუციონალური მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება „პერიფერიებში", რაც ზედმიწევნით შეესაბამება დასავლეთის პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და კულტურულ კონტექსტს, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება". (Kipiani, 2020).

3SI-ში საქართველოს ინტეგრაცია სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ციფრული და IT ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ნიშნავს. გარდა ამისა, თბილისს 3SI-ის დინამიკურად მზარდი საინვესტიციო ფონდიდან შეუძლია მიიღოს „გემრიელი ნამცხვრის ნაჭერი", რომელმაც 2025 წლისთვის შეიძლება 20 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს.

გარდა სახელმწიფოთაშორისი ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომელთაგანაც საქართველომ შეიძლება დიდი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს, 3SI თბილისს ევროპასთან დააახლოებს და პირიქით. ეს პოლიტიკური „გვერდითი მოვლენა" ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რომელიც დემოკრატიის უზარმა-

ზარ ვაკუუმშია მოქცეული რეგიონში (განსაკუთრებით, მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ, რამაც თურქეთისა და რუსეთის პოზიციები გაამყარა სამხრეთ კავკასიაში). დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკური პროექტების არსებობა ზრდის თბილისის, როგორც საიმედო პარტნიორის, პროგნოზირებადი მისწრაფებების ხილვადობასა და სანდოობას.

მაგრამ სამი ზღვის ინიციატივა არ არის მხოლოდ სარგებელი... იგი შესაბამის ქმედებებსა და პასუხისმგებლობას საჭიროებს:

- პირველ რიგში, საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია 3SI-ის წევრი ქვეყნების მოლოდინი გაამართლოს (დემოკრატიის, ეკონომიკური თავისუფლებისა და პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით);
- კიდევ ერთი ფაქტორი გადაწყვეტილების მიღების მოქნილობაა, რომელიც პირდაპირ უნდა შეესაბამებოდეს ალიანსის სტრატეგიულ საჭიროებებს;
- და არანაკლებ მნიშვნელოვანი და აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა 3SI-ის დამფუძნებელ წევრებთან, რათა საქართველო იქამდე შეუერთდეს ამ ალიანსს, ვიდრე სამოქმედო გეგმები/პროექტები საბოლოოდ განისაზღვრება.

სამი ზღვის ინიციატივა შეიძლება მარშალის ახალ გეგმად ჩაითვალოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის. იგი გზას უხსნის მრავალ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინიციატივას; აძლიერებს ევროკავშირსა და ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობას; ამყარებს თავისუფლებას და ავრცელებს კეთილდღეობას. 3SI არის შანსი, რომელიც საქართველოს უმნიშვნელოვანეს ბერკეტებს აძლევს ყოვლისმომცველი ეკონომიკური და დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის.

და რაც მთავარია – მისი კარი ღიაა!

გამოყენებული წყაროები:

1. European Commission. 2020. „Baltic Energy Market Interconnection Plan“. https://ec.europa.eu/energy/topics/infrastructure/high-level-groups/baltic-energy-market-interconnection-plan_en.
2. Kipiani, Victor. 2020. “The Three Seas Initiative: An All-important Project for Georgia and the Region.” The International Centre for Defense and Security (ICDS). https://icds.ee/en/the-three-seas-initiative-an-all-important-project-for-georgia-and-the-region/.
3. Ministerstwo Spraw Zagranicznych RP. 2020.
4. Popławski, Konrad and Jakub Jakóbowski. 2020. *W Kierunku Budowy Bliższych Powiązań: Trójmorze Jako Obszar Gospodarczy*. Warszawa: Polski Instytut Ekonomiczny.
5. Three Seas. 2020. https://3seas.eu/media/news/resolution-supporting-three-seas-initiative-unanimously-passes-u-s-house-of-representatives.
6. ფიფია, გიორგი. 2019. „სამი ზღვის ინიციატივა“, საგარეო პოლიტიკის საბჭო. https://foreignpolicycouncil.com/2019/05/06/სამი-ზღვის-ინიციატივა/